15/12/2019

მეუფე ნიკოლოზი – დეკანოზი გიორგი მამალაძე ზის ციხეში და შეწყალებას ითხოვს, ესე იგი, რაღაც დააშავა, ვფიქრობ, შეწყალება აუცილებელია

იწყალებენ დამნაშავეს, მართალ ადამიანს არ იწყალებენ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტმა, მეუფე ნიკოლოზმა დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალების თემაზე განუცხადა.

მისივე თქმით, დარწმუნებულია, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს შეიწყალებენ, ოღონდ შეწყალება რთული პროცესია.

„ვფიქრობ, არ არის აუცილებელი მისი ციხეში ჯდომა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩანს, დანაშაული ჩადენილია. ჩვენს ქვეყანაში არის წესი, რომ საბრალდებო დასკვნა არ არის ხელმისაწვდომი დოკუმენტი, საჯარო ინფორმაცია არ არის, ამიტომ ვერაფერს ვამბობ, მაგრამ ზის ციხეში და შეწყალებას ითხოვს ადამიანი ესე იგი, რაღაც დააშავა. მე ვთვლი, რომ შეწყალება კარგია და აუცილებელი. იწყალებენ დამნაშავეს, მართალ ადამიანს არ იწყალებენ. ჩვენ ის შევიწყალეთ“, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

— 1tv.ge